



აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია
THE FEDERATION OF AUDITORS ACCOUNTANTS AND FINANCIAL MANAGERS

განგრძობითი განათლების პროგრამა

„დამტკიცებულია“

ფედერაციის გამგეობის მიერ

სხდომის ოქმი #4. 14.08.2019

აღიარებულია:

ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ
(ბრძანება #718,26/09/2019; SARAS-CPD-008/19)

თბილისი

2019

პროგრამის აღწერა

1. პროგრამის დასახელება - განგრძობითი განათლება

2. პროგრამის ნომერი - CPD/GFAAFM/2019

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - პროფესიული კომპეტენციის დადასტურება

4. პროგრამის მოცულობა - 33 საათი

5. პროგრამის საფუძველი - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები; განგრძობითი განათლების სტანდარტი.

6. სწავლების ენა - ქართული

7. პროგრამის ხელმძღვანელი: ლევან ჯანგულაშვილი - საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე.

8. პროგრამის მიზანი:

განგრძობითი განათლების პროგრამის მიზანია სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებისა და განვითარების, ასევე, ახალი როლის შესასრულებლად საჭირო პროფესიული კომპეტენციის შეძენისა და მათი განვითარების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება ტექნიკური კომპეტენციის, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადო დონეზე სრულყოფაში.

9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი
- პროფესიული ორგანიზაციის წევრობა.

10. სწავლის შედეგები

სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა განგრძობითი განათლების პროგრამის გავლის შედეგად უნდა განაახლოს და გაიღრმავოს პროფესიული კომპეტენცია, რაც მოიცავს:

- ტექნიკურ კომპეტენციებს, კერძოდ, განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში არსებულ საგნებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;
- პროფესიულ უნარებს, რომელიც არის, კომუნიკაბელურობის, პერსონალური, ორგანიზაციული უნარები, რომელთა ტექნიკურ კომპეტენციასთან, პროფესიულ ფასეულობებთან, ეთიკასთან და დამოკიდებულებებთან ინტეგრაციის საშუალებით ვლინდება სერტიფიცირებული ბუღალტრის პროფესიული კომპეტენცია;

- პროფესიული ფასეულობებს, ეთიკას და დამოკიდებულებებს, რომელიც არის პროფესიული ქცევა და სხვა მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს სერტიფიცირებული ბუღალტრის პროფესიის წევრობას. პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და დამოკიდებულებები მოიცავს ქცევის (ეთიკურ) პრინციპებს, რომლებიც არსებითად დამახასიათებელია პროფესიისთვის.

11. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

- ლექცია
- პრაქტიკულ სიტუაციურ მაგალითებზე მსჯელობა
- დისკუსია-დებატები
- წარმოდგენილი სტანდარტების ახსნა-განმარტებები და მათი პრაქტიკული გამოყენების მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

ლექტორი უფლებამოსილია მსმენელს მიაწოდოს თეორიული და პრაქტიკული მასალა იმ ფორმატით რომელიც წარმოდგენილი იქნება სწავლების დროს. ლექტორი ვალდებულია აწარმოოს მსმენელთა დასწრების აღრიცხვა.

12. განგრძობითი სწავლების სტრუქტურა

№	სასწავლო პროგრამა	ნომერი	საათები
1	აუდიტის და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები	CPD/GFAAFM/2019/01	12
2	აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების ტექნიკური შესაძლებლობები	CPD/GFAAFM/2019/02	3
3	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	CPD/GFAAFM/2019/03	12
4	საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები	CPD/GFAAFM/2019/04	6

განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსი

აუდიტის და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები

სასწავლო პროგრამის დასახელება	აუდიტის და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები	პროგრამის ნომერი CPD/GFAAFM/2019/01	-
სასწავლო კურსის თემატიკა			
12 საათი	პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი:		3
	კოდექსის გამოყენების ძირითადი პრინციპები;		0.5
	დამოუკიდებლობის მნიშვნელობა აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებებში, აგრეთვე მათ გარდა სხვა მარწმუნებელი გარიგებებისათვის.		2.5
	ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს 1) - ხარისხის კონტროლი იმ აუდიტორული ფირმებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს:		3
	ზოგადი ნაწილი და პრინციპები;		0.5
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ხარისხზე აუდიტორული ფირმის ფარგლებში;		0.5
	ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარება და ძველ დამკვეთთან ურთიერთობის გაგრძელება;		0.5
	გარიგების შესრულება;		0.5
	შრომითი რესურსები;		0.5
	მონიტორინგი.		0.5
	აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების განხილვა.		3
	მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ - ასს 700:		3
	ასს 700-ის მოქმედების სფერო, მოსაზრების ფორმა და ჩამოყალიბება ფინანსურ ანგარიშგებაზე;		0.5
	აუდიტორის დასკვნა;		0.5
	ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარდგენილი დამატებითი ინფორმაცია;		0.5
	სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პრაქტიკის ხარისხობრივი ასპექტები, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების აწერა;		0.5
	ასს 705-მოსაზრების მოდიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში;		0.5
ასს 800-სპეციალური დანიშნულების საფუძვლების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.		0.5	
თემები: აუდიტის და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები შემდეგ თემებზე: 1. პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი; 2. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს 1) - ხარისხის კონტროლი იმ აუდიტორული ფირმებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს;			

	<p>3. აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები;</p> <p>4. მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.</p> <p>სათაური/ ხანგრძლივობა</p>	
<p>სასწავლო კურსის ფორმატი</p>	<p>სემინარი წარიმართება ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. სემინარის მიმდინარეობისას თეორიულ საკითხებთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. ლექცია წარიმართება მსენელთა აქტიური ჩართულობის გათვალისწინებით კითხვა-პასუხის ფორმატით.</p>	
<p>სასწავლო კურსის მიზანი</p>	<p>სასწავლო კურსის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მსმენელთა ინფორმირება პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის და კოდექსში შესული უახლესი ცვლილებების შესახებ; - აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების განხილვის გზით მსმენელთა ინფორმირება იმ რისკების შესახებ, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებას და აღნიშნული რისკების პრევენცია; - მსმენელების ხელშეწყობა ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების უკეთ აღქმაში; - ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული დასკვნის საკითხების განიხილვა. 	
<p>სასწავლო კურსის შედეგები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. გაიზრდება მსმენელთა ინფორმირების დონე ეთიკის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; 2. აუდიტის ხარისხის მონიტორინგის შედეგების განხილვის შემდეგ მსმენელები ინფორმირებული იქნებიან იმ რისკების შესახებ, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას; 3. ამალდება მსმენელთა კვალიფიკაცია და ცოდნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ. 	
<p>სწავლის ერთეულის ოდენობა</p>		
<p>თეორიული ნაწილი (ლექცია) პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმი</p>	<p>9 სთ 2სთ 1 სთ</p>	<p>მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.</p>
<p>სულ საათების რაოდენობა</p>	<p>12სთ</p>	
<p>სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი</p>		

ძირითადი ლიტერატურა	
<p>1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები;</p> <p>2. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს 1) - ხარისხის კონტროლი იმ აუდიტორული ფირმებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს;</p> <p>3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დროს გამოვლენილი ხარვეზების სახეები;</p> <p>4. ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის- 2018 წლის გამოცემა.</p>	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია კურსის ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	ივანე ჟუჟუნაშვილი
უმაღლესი განათლება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ბაკალავრი და მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის მაგისტრი.
პრაქტიკული გამოცდილება	<p>ივანე ჟუჟუნაშვილს აქვს 18 წლიანი გამოცდილება აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებაში;</p> <p>სპეციალიზაციის სფეროები: დაზღვევა, წარმოება, ფინანსური სექტორი, უძრავი ქონება, კომუნიკაცია, ვაჭრობა, სატრანსპორტო მომსახურება, ბუნებრივი რესურსები და სხვა;</p> <p>IFRS კომიტეტის წევრი - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური ;</p> <p>ივანე, ასევე არის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA, Glasgow, UK) მიერ სერტიფიცირებული, პროფესიონალი ბუღალტერი. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ სერტიფიცირებული, პროფესიონალი ბუღალტერი;</p> <p>საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული აუდიტორი და პროფესიონალი ბუღალტერი.</p>
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 599 977 702; e-mail: VZhuzhunashvili@bdo.ge

განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსი

აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების ტექნიკური შესაძლებლობები

სასწავლო პროგრამის დასახელება	აუდიტორული პროცედურები პროგრამა E-dok-ის გამოყენებით	პროგრამის ნომერი CPD/GFAAFM/2019/02	-
სათაური/ ხანგრძლივობა			
აუდიტორული პროცედურები პროგრამა E-dok.-ის გამოყენებით:			3
პროგრამის ფუნქციური შესაძლებლობების ზოგადი აღწერა : - აუდიტის მეთოდოლოგიის მორგება; - არსებითობის განსაზღვრა; - დავალებების შაბლონების დაპროექტება; - კონტროლი აუდიტის პროცესის მიმდინარეობაზე.			1.5
პროგრამის ადმინისტრირება: - შიდა და გარე მომხმარებლების რეგისტრაცია; - კლიენტის რეგისტრაცია და პროექტის შექმნა; - პროექტის დავალების შექმნა.			0.5
რისკი მტკიცების დონეზე : - იდენტიფიცირებული არსებითი და რისკის გავლენის ქვეშ მყოფი მუხლებისათვის აუცილებელი მტკიცებების დადგენა; - საპასუხო აუდიტორული მიდგომების განსაზღვრა.			0.5
შედეგების შეჯამება : - შეუსწორებელი უზუსტობების ნუსხის დათვალიერება; - დასკვნის ტიპის დოკუმენტირება.			0.5
<p>სემინარი წარმართება ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას პროგრამის შესახებ. სემინარის მიმდინარეობისას თეორიულ საკითხებთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. ლექცია წარმართება მსენელთა აქტიური ჩართულობის გათვალისწინებით კითხვა-პასუხის ფორმატით.</p>			
სასწავლო კურსის მიზანი	მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება აუდიტორული პროცედურების ჩასატარებლად პროგრამის პრაქტიკული გამოყენების შესახებ.		
სასწავლო კურსის შედეგები	მოცემული თემების შესწავლის შემდგომ მსმენელს ეცოდინება აუდიტორული პროცედურები პროგრამა E-dok.-ის გამოყენებით.		
სწავლის ერთეულის ოდენობა			
თეორიული ნაწილი (ლექცია)	2 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.	
პრაქტიკული მაგალითები	0,5სთ		
კითხვა-პასუხის რეჟიმი	0,5 სთ		
სულ საათების რაოდენობა	3 სთ		
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი			
ძირითადი ლიტერატურა			
HAT-აუდიტის სახელმძღვანელო.			
სწავლების ენა	ქართული		

ინფორმაცია კურსის ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	ივანე ჟუჟუნაშვილი
უმაღლესი განათლება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ბაკალავრი და მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის მაგისტრი.
პრაქტიკული გამოცდილება	<p>ივანე ჟუჟუნაშვილს აქვს 18 წლიანი გამოცდილება აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებაში;</p> <p>სპეციალიზაციის სფეროები: დაზღვევა, წარმოება, ფინანსური სექტორი, უძრავი ქონება, კომუნიკაცია, ვაჭრობა, სატრანსპორტო მომსახურება, ბუნებრივი რესურსები და სხვა;</p> <p>IFRS კომიტეტის წევრი - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური ;</p> <p>ივანე, ასევე არის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA, Glasgow, UK) მიერ სერტიფიცირებული, პროფესიონალი ბუღალტერი. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ სერტიფიცირებული, პროფესიონალი ბუღალტერი;</p> <p>საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული აუდიტორი და პროფესიონალი ბუღალტერი.</p>
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 599 977 702; e-mail: VZhuzhunashvili@bdo.ge

განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

სასწავლო პროგრამის დასახელება	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	პროგრამის ნომერი-CPD/GFAAFM/2019/03
-------------------------------	---	-------------------------------------

სასწავლო კურსის თემატიკა

12 საათი	სათაური/ ხანგრძლივობა	
	ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები:	5
	ზოგადი მიმოხილვა;	0,5
	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია;	1
	საწყისი შეფასება;	1
	შემდგომი შეფასება;	1
	გაუფასურება;	1
	წარდგენა.	0,5
	ფასს 15- ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:	4
	ზოგადი მიმოხილვა;	0,5
	ხელშეკრულების იდენტიფიცირება;	1
	შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირება;	0,5
	ოპერაციის ფასის განსაზღვრა;	0,5
	ოპერაციის ფასის შესასრულებელ ვალდებულებებზე გადანაწილება;	1
	ვალდებულებების შესრულების შესაბამისი შემოსავლის აღიარება.	0,5
	ფასს 16 - იჯარა:	3
	ზოგადი მიმოხილვა;	0,5
	აღრიცხვა მოიჯარის მხრიდან;	2
	წარდგენა.	0,5
	თემები: ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები; ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან; ფასს 16 - იჯარა.	

სასწავლო კურსის ფორმატი	სემინარი წარიმართება ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. სემინარის მიმდინარეობისას თეორიულ საკითხებთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. ლექცია წარიმართება მსენელთა აქტიური ჩართულობის გათვალისწინებით კითხვა-პასუხის ფორმატით.
-------------------------	---

სასწავლო კურსის მიზანი	მსმენელების ინფორმირება განსახილველი სტანდარტების მნიშვნელოვანი ნაწილის თაობაზე და აღნიშნული სტანდარტების ადაპტირებისთვის აუცილებელი პროცედურებისა და დანერგვის ტექნიკური მხარის შესახებ.	
სასწავლო კურსის შედეგები	მსმენელები შეიძენენ ცოდნას შესაბამისი სტანდარტების უახლეს ცვლილებებთან დაკავშირებით და აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე აღრიცხვაში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე. აღნიშნული კურსი მსმენელებს ხელს შეუწყობს შესაბამისი სტანდარტების უკეთ აღქმასა და ვალდებულებების, შემოსავლების და იჯარის სწორად აღრიცხვაში.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია)	8 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
პრაქტიკული მაგალითები	3 სთ	
კითხვა-პასუხის რეჟიმი	1 სთ	
სულ საათების რაოდენობა	12 სთ	
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
ძირითადი ლიტერატურა: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები		
<ol style="list-style-type: none"> ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტები; ფასს 15-ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან; ფასს 16- იჯარა. 		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	დავით დარსაველიძე	
უმაღლესი განათლება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მფლობელი.	
პრაქტიკული გამოცდილება	<p>დავით დარსაველიძეს აქვს სხვადასხვა კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისა და მიმოხილვის განხორციელების 13 წლიანი გამოცდილება, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;</p> <p>დავითს, ასევე აქვს დიდი გამოცდილება ფინანსური ანგარიშგებების ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით;</p> <p>დავითი არის სერტიფიცირებულ და ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის წევრი;</p> <p>დავითს აქვს აუდიტის ჩატარების გამოცდილება შემდეგ სექტორებში: წარმოება, მშენებლობა, ბუნებრივი რესურსები, სალიზინგო, საცალო და საბითუმო გაყიდვები, დაზღვევა, მიკროსაფინანსო, სამედიცინო, კომუნიკაცია და სხვა.</p>	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 595 301 024; e-mail: ddarsavelidze@bdo.ge	

განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსი

საგადასახადო და საკანონმდებლო ცვლილებები

სასწავლო პროგრამის დასახელება	საგადასახადო და საკანონმდებლო ცვლილებები	პროგრამის ნომერი CPD/GFAAFM/2019/04	პროგრამის ნომერი 006
<p>თემა: 2018-2019 წლებში განხორციელებული საგადასახადო და საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოში.</p>			
<p>სასწავლო კურსის ფორმატი</p>	<p>სემინარი წარიმართება ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. სემინარის მიმდინარეობისას თეორიულ საკითხებთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. ლექცია წარიმართება მსმენელთა აქტიური ჩართულობის გათვალისწინებით კითხვა-პასუხის ფორმატით.</p>		
<p>სასწავლო კურსის მიზანი</p>	<p>მსმენელთა ინფორმირება 2018-2019 წლებში საგადასახადო და საკანონმდებლო მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების თაობაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაბეგვრის ძირითადი პრინციპების და მიდგომების კუთხით; ➤ საგადასახადო ადმინისტრირების ფორმებსა და პრინციპების კუთხით; ➤ ძირითადი გადასახადების გაანგარიშების და აღრიცხვის მეთოდების შესახებ; ➤ მეწარმეთა შესახებ კანონის ცვლილებების და სიახლეების კუთხით. <p>სემინარის მიზანია მისცეს დამსწრე აუდიტორიას სისტემური ცოდნა საგადასახადო დაბეგვრისა და საკანონმდებლო პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ, უზრუნველყოს მათი ინფორმირებულობა, მათ შორის სამომავლოდ დაანონსებულ ცვლილებებთან დაკავშირებითაც.</p>		
<p>სწავლების შედეგები</p>	<p>გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე საგადასახადო დაბეგვრისა და სამეწარმეო საქმიანობის სფეროში არსებულ საკითხებზე. მსმენელებს შესაძლებლობა მიეცემათ განაახლონ ცოდნა განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.</p>		
<p>სწავლის ერთეულის ოდენობა</p>			
<p>თეორიული ნაწილი (ლექცია) პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმი</p>	<p>4სთ 1 სთ 1სთ</p>	<p>მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.</p>	
<p>სულ საათების რაოდენობა</p>	<p>6 სთ</p>		
<p>სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი (ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტ ბმულის მეშვეობით ელექტრონული სახით)</p>			
<p>ძირითადი ლიტერატურა</p>			
<ol style="list-style-type: none"> 1. ცვლილებები „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის № 996 ბრძანებაში; 2. ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში; 2. სიტუაციური სახელმძღვანელოები; 3. საკანონმდებლო მაცნე; 4. ამონარიდები მთავრობის დადგენილებიდან; 5. ამონარიდები ბიზნეს კანონმდებლობიდან. 			

დამხმარე ლიტერატურა და მასალები	
<ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი; 2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები; 3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; 4. სემინარის საპრეზენტაციო მასალები. 	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	ვლადიმერ გიორგაძე
უმაღლესი განათლება	თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი 2005-2009წ; ბაკალავრი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2009-2011წ; მაგისტრი ეკონომიკის მიმართულებით.
პრაქტიკული გამოცდილება	ათწლიანი გამოცდილება გადასახადებში, მათ შორის 3 წელი ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. ამასთან, დამატებით 2012 წელს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადამიანური რესურსების დეპარტამენტში შტატგარეშე თანამშრომელი: მოვალეობა - ლექციების ჩატარება სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის პირადი საგადასახადო მრჩეველებისათვის; საერთაშორისო აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო ფირმა შპს „ბიდიოს“ მენეჯერი საგადასახადო განყოფილებაში, ამავე ფირმის თანამშრომელი 2012 წლიდან დღემდე; ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს; სპეციალიზაციის სფეროები: სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, მძიმე მრეწველობა, საცალო და საბითუმო ვაჭრობა, საფინანსო ბიზნესი (საბანკო და მიკროსაფინანსო), სატრანსპორტო ბიზნესი, ენერგეტიკა, სამედიცინო სფერო და სხვა.
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ: 555 407 733; e-mail: VGiorgadze@bdo.ge
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	დავით გელაშვილი
უმაღლესი განათლება	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის მაგისტრის დიპლომი.
პრაქტიკული გამოცდილება	2004 წლიდან ეწევა იურიდიულ პრაქტიკას შპს „ბიდიოში“; დავითი არის შპს „ბიდიოს“ პარტნიორი. ასევე გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტების მოწვეული ლექტორი; ძირითადი პროფესიული გამოცდილება: უძრავი ქონების ტრანზაქციები, კორპორატიული გარიგებები, საგადასახადო საკითხები და საგადასახადო და სატენდერო დავები, მშენებლობა, ინვესტიციები, Due Diligence და იურიდიული დასკვნები; ადვოკატთა ასოციაციის წევრი, სერტიფიცირებული მედიატორი, მედიატორთა ასოციაციის დამფუძნებელი წევრი.
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ: 599 388 023; e-mail: DGelashvili@bdo.ge